შუახევის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ფრიდონ ფუტკარაძეს

ასლი შუახევის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი დავითაძეს

წარმოგიდგენთ, ინფორმაციას მ/წლის 28 მარტის, მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

დანართი: ოქმი N 3; 4(ოთხი) ფურცელი.

პატივისცემით,

მერიის სამოქალაქო მრჩეველთა

საბჭოს თავმჯდომარე: ბ. ... ბეჟან დიასამიძე.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია
შემოსული № 18/2/07
«04» 04 2019 წ.
ფურცელი 5 ძირითადი 1 დანართი 4

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა

საბჭოს სხდომის

ოქმი N3

28.03. 2019 წელი

სხდომას 17წევრიდან ესწრებოდნენ:

1. ბეჟან დიასამიძე;
2. მზია გოგაძე;
3. რომან დუმბაძე;
4. ბადრი ქათამაძე;
5. შუშანა ფუტკარაძე;
6. მერაბ მაკარაძე;
7. გელა აბაშიძე;
8. თამაზ ტაკიძე;
9. ვასო ხიმშიაშვილი;
10. სარდიონ დავითაძე;
11. ვაჟა დავითაძე;
12. პაატა ქათამაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ფრიდონ ფუტკარაძე, მერის მოადგილეები: ბატონი ომარ ტაკიძე და ქალბატონი რუსუდან შავაძე, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ანზორ ცეცხლაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი დავითაძე.

დღის წესრიგი:

1. შუახევის მუნიციპალიტეტის რიკიხიდის მიმდებარე ტერიტორიისთვის 9 აპრილის ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ

/ მომხსენებელი : სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ბეჟან დიასამიძე /

2. შუახევის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

/ მომხსენებელი : ანზორ ცეცხლაძე - საფინანსო სამსახურის უფროსი /

3. მრჩეველთა საბჭოს მომდევნო პერიოდის სამუშაო გეგმის შესახებ;

/ მომხსენებელი: ბეჟან დიასამიძე/

მოისმინეს : შუახევის მუნიციპალიტეტის რიკიხიდის მიმდებარე ტერიტორიისთვის 9 აპრილის ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ

/ მომხსენებელი : სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ბეჟან დიასამიძე /

მომხსენებელმა ბეჟან დიასამიძემ აღნიშნა, რომ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი სისხლიანი მოვლენები, რაც გამოიხატება საბჭოთა არმიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევაში, რის შედეგადაც დაიღუპა 21 ადამიანი, ასობით ადამიანი კი დაიჭრა, მოიწამლა და დასახიჩრდა.

ქართველმა ხალხმა სათანადოდ დააფასა ამ დღეს დაღუპულ მოქალაქეთა წვლილი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. მათი სახელების უკვდავსაყოფად საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქში აიგო მემორიალები, დაიწერა არაერთი საგაზეთო სტატია და წიგნი. მათი სახელები სამარადისოდ შეინახება ქართველი ერის მეხსიერებაში.

როგორც თქვენთვის ცნობილია, შუახევის მუნიციპალიტეტის რიკიხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე დგას 9 აპრილს დაღუპულ გმირთა სახელების უკვდავსაყოფად მემორიალი, ვთვლით, რომ ამ ადგილს, სადაც ამჟამად დგას მემორიალი, ამიერიდან ეწოდოს 9 აპრილის ხეივანი.

იმედს ვიტოვებთ, ინიციატივას მხარს დაუჭერს მერიის მრჩეველთა საბჭოს ყველა წევრი, მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მიგვაჩნია აგრეთვე, რომ ინიციატივას მიესალმება შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ყოველი მოქალაქე, ხოლო რიკიხიდის ტერიტორიისათვის 9 აპრილის ხეივნის სახელის მინიჭება უფრო მაღალი აღიარება იქნება 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დაღუპულ მოქალაქეთა გმირული თავდადებისა.

ვთხოვთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარი დაუჭიროს ამ ინიციატივას.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს ინიციატივა, ამ ინიციატივას მიესალმნენ შუახევის მერი ბატონი ფრიდონ ფუტკარაძე, მერის მოადგილეები ომარ ტაკიძე და რუსუდან შავაძე, შუახევის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი დავითაძე.

დაადგინეს : შუახევის მუნიციპალიტეტის რიკიხიდის მიმდებარე ტერიტორიისათვის 9 აპრილის ხეივნის სახელის მინიჭების საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს შუახევის საკრებულოს.

მოისმინეს : შუახევის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

/ მომხსენებელი : ანზორ ცეცხლაძე - საფინანსო სამსახურის უფროსი /

საფინანსო სამსახურის უფროსმა ანზორ ცეცხლაძემ დეტალურად წარმოადგინა 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული ცვლილებების პროექტი. ბიუჯეტის საწყისი თანხა შეადგენდა 11088124 ლარს, გაიზარდა 1223021 ლარით, სულ გაზრდილი ბიუჯეტი შეადგენს 12311145 ლარს. განსახორციელებელია შემდეგი ღონისძიებები: სოფელ შუბანში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობაზე - 13199 ლარი, დაბის ცენტრალური რეზერვუარის რეაბილიტაცია და გორხანაულის წყლის მაგისტრალზე ხაზის მიერთებაზე - 16856 ლარი, რაგბის მოედნისა და გარშემო ტერიტორიის მოწყობაზე - 13716 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე - 760000 ლარი, ვეტერანების გაზით უზრუნველყოფისა და მატერიალური დახმარების პროგრამაზე - 25050 ლარი, საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზებული სახურავების შეცვლის პროგრამაზე - 50000 ლარი, ცერემბრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამაზე - 3021 ლარი, ერთი სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრისათვის სპეციფიკური სამკურნალო პროდუქტის შეძენაზე - 1200 ლარი, ბაგა-ბაღების გაერთიანების სუბსიდიაზე - 20000 ლარი, ბაგა-ბაღების გაერთიანების არაფინანსურ აქტივებზე - 10000 ლარი, ჭკვიანი ვიდეოთვალების შეძენაზე - 20000 ლარი, ინტერნეტის გადასახადზე - 12000 ლარი, სწავლება ტრენინგისთვის მივლინების ხარჯზე - 7809 ლარი, მერიის ტრანსპორტის ხარჯზე - 23000 ლარი, საკრებულოს ტრანსპორტის ხარჯზე - 10560 ლარი, ორი ერთეული ავტომანქანის შეძენაზე - 100000 ლარი, სუბსიდია სპორტსკოლის ტრანსპორტის დაქირავებისათვის - 2000 ლარი, სუბსიდია ფეხბურთისა და რაგბის სკოლის ტრანსპორტის დაქირავებისათვის - 1500 ლარი, სახელოვნებო სკოლის სუბსიდიაზე - 3000 ლარი, მაწყვალთისა და ჩირუხის მთებისთვის ელექტროგადამცემი ხაზების მასალების შეძენაზე - 10000 ლარი, სანაგვე ურნებისა და საჯდომების შეძენაზე - 11000 ლარი, იუსტიციის სახლის წინ საინფორმაციო დაფის განთავსებაზე - 4500 ლარი, საკრებულოს არაფინანსურ აქტივებზე - 1900 ლარი, მერიის არაფინანსურ აქტივებზე - 9000 ლარი, კულტურულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებზე - 35000 ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდიაზე - 1000 ლარი, საკონფერენციო დარბაზებისათვის მიკროფონებისა და ფარდების შეძენაზე - 6300 ლარი, მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ელექტროენერგიის სიმძლავრის გაზრდაზე - 16000 ლარი, ღორექეთის უბანში წისქვილის მშენებლობაზე - 5000 ლარი, გარეგანათებებისა და წისქვილების აბონენტად აყვანაზე - 7000 ლარი. ბიუჯეტში თანხები გათვალისწინებულია აგრეთვე სამედიცინო დანიშნულებითაც, პარკისონის პროგრამაზე მედიკამენტებისათვის - 13485 ლარი და ეპილეფსიის პროგრამაზე მედიკამენტებისათვის - 86060 ლარი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა ისაუბრეს ბიუჯეტში გათვალისწინებულ ცვლილებებზე, მათი დაგეგმვის მიზნობრიობაზე, მოიწონეს იგი და გამოითქვა მოსაზრება, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული ცვლილებები დასამტკიცებლად გადაეცეს შუახევის საკრებულოს.

დაადგინეს : შუახევის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები დასამტკიცებლად გადაეცეს შუახევის საკრებულოს.

მოისმინეს: 3. მრჩეველთა საბჭოს მომდევნო პერიოდის სამუშაო გეგმის შესახებ;

/ მომხსენებელი: ბეჟან დიასამიძე/

დაადგინეს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა ჩატარდეს მიმდინარე წლის აპრილის თვეში.

სხდომის თავმჯდომარე: ბ. დ. / ბეჟან დიასამიძე /

მდივანი : მ. გოგაძე / მზია გოგაძე /